



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 6 23 0000885041



14/07/2023

სსიპ - გორის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის „სასტუმროს მენეჯმენტის“  
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27 -ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 16 თებერვლის №183614 წერილით წარმოდგენილ იქნა სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი "სასტუმროს მენეჯმენტის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2023 წლის 18 აპრილის №427036 ბრძანების სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 02 მაისის № 480297 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი „სასტუმროს მენეჯმენტის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით განახორციელა 2023 წლის 18 და 19 მაისს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	•			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	•			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		•		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			
---	---	--	--	--

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 30 ივნისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

### 3. სარეზოლუციონაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 18 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

### გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს იქნა სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი № 1-ით გათვალისწინებულ „სასტუმროს მენეჯმენტის" **სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „სასტუმროს მენეჯმენტის" **სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 14 ივლისის სხდომის №884789 ოქმის №04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

### რეკომენდაციები:


1. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოამზადოს მკაფიო საკომუნიკაციო და მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც საშუალებას მისცემს პოტენციურ სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიიღონ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, რადგან სტუდენტების რაოდენობა დაბალია;
2. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს ინგლისური ენის ცოდნის უზრუნველყოფას და საბაკალავრო პროგრამაში პრაქტიკის ხანგრძლივობის გაზრდას;
3. საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სფეროს სასწავლო კურსებს დაემატოს ტურიზმის სამართლებრივ რეგულაციებთან დაკავშირებული სასწავლო კურსი .
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსებს: საერთაშორისო ტურიზმი, ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა, კულტურული ტურიზმი, მიენიჭოს სავალდებულო კურსების სტატუსი.
5. რეკომენდებულია ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურის ძირითად კურსებში გათვალისწინებულ იქნას ტურიზმთან დაკავშირებული კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტების/ნაშრომების მომზადება.
6. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების (რესტორნის მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი, ღონისძიებების მენეჯმენტი და მეღვინეობა) სტუდენტების შეფასებაში შეტანილ იქნას პრაქტიკული დავალებების კომპონენტები და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები.
7. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აამოქმედოს პროგრამის შიდა შეფასების მექანიზმები პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით.

## რჩევები:

1. სასურველია სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება, ისევე როგორც შესაძლებელია რომ უნივერსიტეტმა სტუდენტებს უკეთესი პირობებით მიაწოდოს ინგლისურენოვანი კურსები.
  2. სასურველია დამატებითი საკითხავი მასალის შეტანა: წიგნები, სამეცნიერო სტატიები და ა.შ ინგლისურ და ქართულ ენებზე.
  3. სასურველია სტუდენტთა და მასწავლებელთა ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება სამეცნიერო პროდუქტის მომზადებისა და შემდგომ მისი გავრცელების გზით;
  4. სასურველია გადაიხედოს შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის დათმობილი დრო.
  5. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაუმჯობესდეს საერთაშორისო პროექტებში/პროგრამებში, სტუდენტების მონაწილეობის ხარისხი და გაიზარდოს დონე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნაციონალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის;
  6. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს დამატებით დაფინანსება პროგრამების მარკეტინგისა და საჯაროობისთვის, რათა მოიზიდოს მეტი სტუდენტი;
5. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი - 2024 წლის 30 ივნისი.
  6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 30 ივნისს.
  7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
რატიანი რატი



რ. რატიაშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
სხდომის თავმჯდომარე  
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სასტუმროს მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული,
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26/06/2016, N70
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პერსონალური მომსახურებები - არაკლასიფიცირებული - 1019
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჩერქეზიშვილის ქ. N1, გორი, სასწავლო კორპუსი №3, 1400, საქართველ
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 30 ივნისი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	1 წელი (2024 წლის 30 ივნისი)
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 30 ივნისი